ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 .90 20-33-05

:.. §.-§“-“§

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №323

4 ნოემბერი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაბეღლავში მდებარე 300 კვ.მ. სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი – 28.22.22.153) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხევში მდებარე შენობა–ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 217 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი – 28.21.22.143) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შეძენის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის დ) პუნქტის, სოფ. ხევის მოსახლეობის საერთო კრების ოქმის, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიის“ 2013 წლის 29 აგვისტოს №2 აქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაბეღლავში მდებარე 300 კვ.მ. სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი – 28.22.22.153) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხევში მდებარე შენობა–ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 217 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.21.22.143) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შეძენის მიზნით შეიქმნას დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - მაია კუტუბიძე - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;
   - ერეკლე მრელაშვილი - სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - წევრი;
   - ზურაბ ჩანტლაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი - წევრი;
   - ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;

- გია გიორგაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;
- თეა უჯმაჯურიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;
- ნიკოლოზ დუმბაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;

2. დაევალოს კომისიას მხარეთა შორის შესაბამისი ურთიერთშეთანხმების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბმისამართზე – ჭავჭავაძის ქყ 3 §ყ

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია ბ

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*